	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	3,358,156	155,952	98,994
საინვესტიციო ქონება	13	1,458,135	1,458,135	1,081,546
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,816,291	1,614,087	1,180,540
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	1,905,161	1,747,489	2,761,333
მარაგები	15	7,630,912	5,712,307	6,711,287
საგადასახადო აქტივი		183,142	141,850	248,373
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	18,381,589	16,785,226	9,467,664
სულ მიმდინარე აქტივები		28,100,804	24,386,872	19,188,657
სულ აქტივები		32,917,095	26,000,959	20,369,197
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		31,698,358	25,187,033	18,837,121
სულ კაპიტალი		31,698,358	25,187,033	18,837,121
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	197,762	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		197,762	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	192,746	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	828,229	813,926	1,532,076
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,020,975	813,926	1,532,076
სულ ვალდებულებები		1,218,737	813,926	1,532,076
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,917,095	26,000,959	20,369,197

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 21 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

შავლეგი ჩაგინავა _____ **დირექტორი**

ელენა ენუქიძე _____ **მთავარი ბუღალტერი**

13-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ინგი 77

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	18,837,121	18,837,121
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	7,792,016	7,792,016
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,442,104)	(1,442,104)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	25,187,033	25,187,033
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	8,648,693	8,648,693
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,137,368)	(2,137,368)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	31,698,358	31,698,358

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 21 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

შავლეგი ჩაგინავა _____ **დირექტორი**

ელენა ენუქიძე _____ **მთავარი ბუღალტერი**

13-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ინგი 77
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
 (ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	27,151,205	24,032,911
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(15,776,972)	(10,718,610)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(354,550)	(287,610)
გადახდილი გადასახადები	(4,142,862)	(3,754,998)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(89,725)	(116,609)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,787,096	9,155,084
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,749,160)	(534,453)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	-	40,000
მიღებული პროცენტები	183,010	50,729
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,566,150)	(443,724)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	500,000	-
სესხების დაფარვა	(109,492)	-
გადახდილი დივიდენდები	(2,030,500)	(1,370,000)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,639,992)	(1,370,000)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	15,409	(23,798)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,596,363	7,317,562
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16,785,226	9,467,664
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18,381,589	16,785,226

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 21 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

შავლეგი ჩაგინავა _____ დირექტორი

ელენა ენუქიძე _____ მთავარი ბუღალტერი

13-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს ინგი 77 (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 206345748.

შპს ინგი-77-ის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3 მას., ზემო პლატო, კორ. №40, ბ. №6. ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი ფეიქრების 22 და სტანისლავსკის 1 ბ.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, გათბობის მოწყობილობებით და ინვენტარით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 %-იანი დამფუძნებელი არის შავლეგი ჩაგინავა.

2. მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
საშუალო კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7227	2.9455
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6279	2.8416

შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება კონტრაქტში შეთანხმებული ფასის საფუძველზე. აღიარებული თანხა შეესაბამება მოსალოდნელ ანაზღაურებას და უკვე გამოკლებულია სავარაუდო დაბრუნებები, სავარაუდო ფასდაკლებები და სხვა მსგავსი კორექტირებები, რომლებიც დაკავშირებულია ტრანზაქციასთან.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ხელმძღვანელობას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები - 5%

აღჭურვილობა და დანადგარები - 20%

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%

სატრანსპორტო საშუალებები - 20%

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები. საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს

შესყიდვის ფასს, გადამუშავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მიმდინარე მდგომარეობამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით, კრედიტ-ნოტებითა და მსგავს კორექტირებებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შესყიდვას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი

მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, წარმომოხილი ოპერაციული ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი. კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდირებად ინვესტიციებს სამ თვანი ან ნაკლები დადგენილი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე.

5. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

	2024	2023
სანტექნიკური დეტალები, ინსტრუმენტები და აქსესუარები	11,757,331	8,312,862
სანტექნიკური ფურნიტურა და აქსესუარები	5,220,330	5,132,166
სამონტაჟო დეტალები და აქსესუარები	3,162,183	3,467,199
მრიცხველები და მრიცხველის ყუთები	1,694,231	1,560,661
სახანძრო სისტემები და აქსესუარები	779,278	818,534
ფილტრები და აქსესუარები	253,226	299,402
სარწყავი სისტემები და აქსესუარები	207,200	356,705
მანომეტრები	76,352	89,997
შერეული სამეურნეო საქონელი	55,285	62,672
წყლის ტუმბოები და აქსესუარები	28,987	68,836
სანტექნიკური დეტალები და აქსესუარები	25,392	15,751
ტელესკოპური შპინდელი და აქსესუარები	18,742	34,236
სულ შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	23,278,537	20,219,021

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
სანტექნიკური დეტალები, ინსტრუმენტები და აქსესუარები	(4,553,611)	(4,030,611)
სანტექნიკური ფურნიტურა და აქსესუარები	(3,699,968)	(2,924,703)
სამონტაჟო დეტალები და აქსესუარები	(2,055,147)	(1,701,704)
მრიცხველები და მრიცხველის ყუთები	(1,559,054)	(1,282,080)
სახანძრო სისტემები და აქსესუარები	(800,924)	(575,140)

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

ფილტრები და აქსესუარები	(265,804)	(265,914)
სარწყავი სისტემები და აქსესუარები	(170,968)	(310,245)
ტელესკოპური შპინდელი და აქსესუარები	(87,128)	(72,229)
შერეული სამეურნეო საქონელი	(29,975)	(28,884)
სანტექნიკური დეტალები და აქსესუარები	(19,302)	(10,633)
წყლის ტუმბოები და აქსესუარები	(19,045)	(40,555)
მანომეტრები	(12,932)	(14,534)
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(13,273,858)	(11,257,232)

7. რეალიზაციის და მიწოდების ხარჯები

	2024	2023
საიჯარო ხარჯი	(219,619)	(213,827)
შრომის ანაზღაურება	(120,916)	(107,462)
სულ რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	(340,535)	(321,289)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(329,329)	(257,377)
ცვეთა და ამორტიზაცია	(64,402)	(27,516)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(59,530)	(77,817)
მივლინების ხარჯი	(19,547)	(4,997)
სატრანსპორტო მომსახურება	(19,508)	(3,898)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(14,978)	(10,455)
მომსახურების ხარჯი	(8,913)	(137)
მცირეფასიანი მასალის ხარჯი	(8,882)	(2,489)
საიჯარო ქირა	(2,000)	(6,000)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(36,884)	(28,020)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(563,973)	(418,706)

9. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2024	2023
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	183,010	50,729
სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(38,830)	-
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	144,180	50,729

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

2023 წლისთვის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას. 2024 წელს კომპანიას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების რეალიზაცია.

11. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან (ასევე ცნობილია, როგორც კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტამდე. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილება ანგარიშგების თარიღამდე იქნა მიღებული, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ იქნება აღიარებული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

კორპორაციული საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება გაუნაწილებელი მოგება. ამის ნაცვლად, საშემოსავლო გადასახადი ერიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოგება ნაწილდება დივიდენდების სახით ან ითვლება ასეთად საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდები 2024 და 2023 წლის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა. 377,183 და 254,489 ლარი, შესაბამისად.

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	აღჭურვილობა და დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	არამატერია ლური აქტივები	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	62,769	99,589	95,000	9,710	3,531	270,599
შეძენა	-	3,668	14,464	85,601	-	-	103,733
გასვლა	-	-	-	(95,000)	-	(3,531)	(98,531)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	66,437	114,053	85,601	9,710	-	275,801
შეძენა	2,921,562	9,693	97,493	237,858	-	-	3,266,606
გასვლა	-	-	(51)	-	-	-	(51)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	2,921,562	76,130	211,495	323,459	9,710	-	3,542,356
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	(34,545)	(52,056)	(75,741)	(6,187)	(3,076)	(171,605)
დარიცხული ცვეთა	-	(6,134)	(11,662)	(8,560)	(705)	(455)	(27,516)
გასვლა	-	-	-	75,741	-	3,531	79,272
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(40,679)	(63,718)	(8,560)	(6,892)	-	(119,849)
დარიცხული ცვეთა	-	(5,563)	(19,573)	(38,702)	(564)	-	(64,402)
გასვლა	-	-	51	-	-	-	51
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(46,242)	(83,240)	(47,262)	(7,456)	-	(184,200)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	28,224	47,533	19,259	3,523	455	98,994
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	25,758	50,335	77,041	2,818	-	155,952
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	2,921,562	29,888	128,255	276,197	2,254	-	3,358,156

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია სრულად გაუფასურებული ძირითადი საშუალებები. დაგირავებული აქტივების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს კომპანიის მიერ 2024 წლის 18 მარტს შეძენილ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ფეიქრების 12 ნომერში.

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

13. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	ბინები	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	1,081,546	-	1,081,546
შეძენა	-	376,589	376,589
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,081,546	376,589	1,458,135
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	1,081,546	376,589	1,458,135
დაგროვილი ცვეთა			
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	-	-
დარიცხული ცვეთა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
დარიცხული ცვეთა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	1,081,546	-	1,081,546
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,081,546	376,589	1,458,135
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	1,081,546	376,589	1,458,135

მიწის ნაკვეთები და ბინები მდებარეობს ანაკლიასა და განმუხურში, რომელსაც კომპანია გამოიყენებს საინვესტიციო დანიშნულებით.

ბინებს არ ერიცხება ცვეთა ვინაიდან კომპანიამ შეიძინა აქტივები მშენებარე კორპუსში, რომელიც ჯერ არ არის ექსპლუატაციაში მიღებული.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	3,101,366	2,853,919	3,332,519
გაცემული ავანსები	575,189	457,580	810,943
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(1,771,394)	(1,564,010)	(1,382,129)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,905,161	1,747,489	2,761,333

გაცემული ავანსები წარმოადგენს მომწოდებლებისთვის გადახდილ ფულად სახსრებს საქონლის მისაღებად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2%	25%	50%	100%	სულ
	0-30	30-180	180-360	> 360	
სავაჭრო მოთხოვნები	528,345	912,207	256,077	1,404,737	3,101,366
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(10,567)	(228,052)	(128,038)	(1,404,737)	(1,771,394)

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	517,778	684,155	128,039	-	1,329,972
-----------------------------------	----------------	----------------	----------------	----------	------------------

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2%	25%	50%	100%	
	0-30	30-180	180-360	> 360	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	478,893	845,345	373,170	1,156,510	2,853,919
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(9,579)	(211,336)	(186,585)	(1,156,510)	(1,564,010)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	469,314	634,009	186,585	0	1,289,909

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2%	25%	50%	100%	
	0-30	30-180	180-360	> 360	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	999,301	1,098,157	294,915	940,146	3,332,519
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(19,986)	(274,539)	(147,458)	(940,146)	(1,382,129)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	979,315	823,618	147,457	0	1,950,390

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2023 წლის 1 იანვარი	1,382,129
ზრდა	181,881
შემცირება	-
2023 წლის 31 დეკემბერი	1,564,010
ზრდა	207,384
შემცირება	-
2024 წლის 31 დეკემბერი	1,771,394

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სანტექნიკური ფურნიტურა და აქსესუარები	2,443,531	1,657,641	2,202,148
სანტექნიკური დეტალები, ინსტრუმენტები და აქსესუარები	2,402,564	2,163,265	2,350,600
სამონტაჟო დეტალები და აქსესუარები	1,003,134	960,410	690,276
მრიცხველები და მრიცხველის ყუთები	991,790	513,136	584,111
მარაგები გზაში	302,239	199,091	673,257
სარწყავი სისტემები და აქსესუარები	269,028	179,875	204,594
ფილტრები და აქსესუარები	243,143	159,691	213,721
სახანძრო სისტემები და აქსესუარები	192,497	194,215	144,509
შერეული სამეურნეო საკონელი	85,008	95,539	94,423
წყლის ტუმბოები და აქსესუარები	66,331	64,140	51,929
ტელესკოპური შპინდელი და აქსესუარები	46,096	38,282	14,865

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

სანტექნიკური დეტალები და აქსესუარები	17,040	9,638	1,537
მანომეტრები	8,491	17,629	20,656
ძრავები და გენერატორები	7,620	574	574
უმოდრო მარაგების რეზერვი	(447,600)	(540,819)	(535,913)
სულ მარაგები	7,630,912	5,712,307	6,711,287

უმოდრო მარაგების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	535,913
ზრდა	299,140
შემცირება	(294,234)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	540,819
ზრდა	262,011
შემცირება	(355,230)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	447,600

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24,345	8,569	2,516
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	261,487	8,549,636	2,967,044
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,982,176	878,716	2,572,942
მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	13,942,988	7,318,690	2,734,216
მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	2,170,593	29,615	1,190,946
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	18,381,589	16,785,226	9,467,664

სადეპოზიტო ანგარიშები განთავსებულია რეზიდენტ კომერციულ ბანკში, რომელიც არის მოკლევადიანი. საპროცენტო სარგებელი ადგილობრივ ვალუტაში შეადგენს (X%), ხოლო უცხოურ ვალუტაში 0.1 % და 1%.

საპროცენტო სარგებლის მიღება ხდება ყოველთვიურად.

17. მიღებული სესხები

2024 წლის 15 მარტს კომპანიამ აიღო სესხი საქართველოს ბანკში, რომლის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12,3 პროცენტს, რომელიც ფიქსირებულია. სესხის მოცულობა არის 500,000 ლარი, რომლის დაფარვის თარიღია 2027 წლის 15 მარტი.

მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების განმარტებით შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხის მიმდინარე ნაწილი შეადგენს: 197,762 ლარს.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
--	-------------------	-------------------	-------------------

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები	616,424	640,549	1,117,681
სხვა ვალდებულებები	29,811	4,455	35,976
მიღებული ავანსები	181,994	168,922	378,419
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	828,229	813,926	1,532,076

19. რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სამართლიანი ღირებულებები კატეგორიზებულია სხვადასხვა დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია შეფასების მონაცემები და მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების მონაცემების მნიშვნელობა:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითაა მათი საბალანსო ღირებულებასთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი სამართლიანი ღირებულების დონეების მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება 2024 წლის პერიოდის ბოლოს				
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,381,589	-	-	18,381,589
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,329,972	1,329,972
საგადასახადო აქტივი	183,142	-	-	183,142
სულ ფინანსური აქტივები	18,564,731	-	1,329,972	19,894,703
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	646,235	646,235
მიღებული სესხები	390,508	-	-	390,508

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

სულ ფინანსური ვალდებულებები	390,508	-	646,235	1,036,743
-----------------------------	---------	---	---------	-----------

სამართლიანი ღირებულება 2023 წლის პერიოდის ბოლოს				
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16,785,226	-	-	16,785,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,289,909	1,289,909
საგადასახადო აქტივი	141,850	-	-	141,850
სულ ფინანსური აქტივები	16,927,076	-	1,289,909	18,216,985
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	645,004	645,004
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	645,004	645,004

სამართლიანი ღირებულება 2022 წლის პერიოდის ბოლოს				
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,467,664	-	-	9,467,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,950,390	1,950,390
საგადასახადო აქტივი	248,373	-	-	248,373
სულ ფინანსური აქტივები	9,716,037	-	1,950,390	11,666,427
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,153,657	1,153,657
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,153,657	1,153,657

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიის“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“

ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულებით მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშევა სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად გადაიხადოს თანხები ვადის გასვლისას.

კომპანიის მაქსიმალური შეხება საკრედიტო რისკებზე ზოგადად აისახება არსებული ფინანსური აქტივების ნარჩენ ღირებულებაზე საბალანსო უწყისში.

ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც ექცევა აქტივის მფლობელის ყურადღებას შემდეგი ზარალის მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან ვალდებულების მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორცაა პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება;
- კრედიტორი, მოვალის ფინანსურ სირთულესთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სამართლებრივი მიზეზების გამო, ანიჭებს მოვალეს დათმობას, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ განიხილავდა;
- სავარაუდო გახდა მოვალის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ იყო ფინანსური აქტივების ჯგუფიდან სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გაზომვადი შემცირება ამ აქტივების თავდაპირველი აღიარების დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ კლება ჯერ ვერ იდენტიფიცირებულია ჯგუფის ცალკეულ ფინანსურ აქტივებთან, როგორცაა მაგ. არახელსაყრელი ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობები ან მრეწველობის პირობების უარყოფითი ცვლილებები.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (100 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,381,589	-	-	18,381,589
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,329,972	-	-	1,329,972
საგადასახადო აქტივი	183,142	-	-	183,142
სულ ფინანსური აქტივები	19,894,703	-	-	19,894,703
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	646,235	-	-	646,235
მიღებული სესხები	192,746	197,762	-	390,508
სულ ფინანსური ვალდებულებები	838,981	197,762	-	1,036,743
ლიკვიდურობის პოზიცია	19,055,722	(197,762)	-	18,857,960

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16,785,226	-	-	16,785,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,289,909	-	-	1,289,909
საგადასახადო აქტივი	141,850	-	-	141,850
სულ ფინანსური აქტივები	18,216,985	-	-	18,216,985
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,153,657	-	-	1,153,657
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,153,657	-	-	1,153,657
ლიკვიდურობის პოზიცია	17,063,328	-	-	17,063,328

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,467,664	-	-	9,467,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,950,390	-	-	1,950,390
საგადასახადო აქტივი	248,373	-	-	248,373
სულ ფინანსური აქტივები	11,666,427	-	-	11,666,427
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,153,657	-	-	1,153,657
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,153,657	-	-	1,153,657
ლიკვიდურობის პოზიცია	10,512,770	-	-	10,512,770

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით, თუმცა კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით არ უფიქსირდება სესხები, შესაბამისად კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები (საბანკო ნაშთები, დეპოზიტები, ფინანსური ინსტრუმენტები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (სავაჭრო ვალდებულებები) წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. კომპანიას არ აქვს სავალუტო რისკის მართვის ფორმალური პროცედურა, თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში არსებულ მიმდინარე ტენდენციებზე და საჭიროების შემთხვევაში გადადგამენ ქმედით ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. აღნიშნული ქმედითი ნაბიჯები მოიცავს ეროვნულ ვალუტაში ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების განთავსებას.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

20. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვადლებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორცილებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „კომპანიის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიის“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავე საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავე საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

შპს ინგი 77

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	2024	2023
საიჯარო ხარჯი	219,619	213,827
გადახდილი დივიდენდი	2,137,368	1,442,105

ნაშთები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,050	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	4,205

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

	2024	2023
ხელფასი	78,875	72,250

22. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს ინფორმაციის წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს ინგი 77

2024 წ.

შინაარსი

1.	ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	3
2.	საქმიანობის მიმოხილვა და განვითარების გეგმები.....	3
3.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	4
4.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	4
5.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5
6.	ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სისტემა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა	5
7.	გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.....	7
8.	სოციალური და დასაქმების საკითხები	7

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ინგი 77 (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 206345748.

შპს ინგი-77-ის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3 მას., ზემო პლატო, კორ. №40, ბ. №6. ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი ფეიქრების 22 და სტანისლავსკის 1 ბ.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, გათბობის მოწყობილობებით და ინვენტარით.

კომპანიის 100 %-იანი დამფუძნებელი არის შავლეგი ჩაგინავა.

კომპანიაში მისიისა და მთავარი ღირებულებების გარშემო გაერთიანებული და დასაქმებულია 18 ადამიანი.

ინფორმაცია შპს ინგი 77-ის თანამშრომლების შესახებ:

ქალი თანამშრომელი – 8 (44%);

მამაკაცი თანამშრომელი – 10 (56%);

2. საქმიანობის მიმოხილვა და განვითარების გეგმები

შპს „ინგი 77“ წარმოადგენს ძირითადად საბითუმო კომპანიას, სპეციალიზდება რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობისა და გათბობის სისტემებისთვის საჭირო მასალებითა და ინვენტარით ვაჭრობაში. აღნიშნული მიმართულება მოიცავს როგორც სამშენებლო სექტორისთვის კრიტიკულ პროდუქციას, ასევე მიმდინარე სარემონტო და საინჟინრო სამუშაოებისთვის აუცილებელ კომპონენტებს.

წარმომადგენლობითი პოზიციის, მრავალწლიან გამოცდილებისა და გამართულად ორგანიზებული მიწოდების ჯაჭვის შედეგად, კომპანია შეძლო ბაზარზე სტაბილური მოთხოვნის შენარჩუნება და პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაგრძელება.

ანგარიშგებაში მოცემულ პერიოდში, კომპანია ოპერირებდა ორივე ფაქტობრივ მისამართზე, რაც უზრუნველყოფდა როგორც ადმინისტრაციული ფუნქციების, ისე საწყობი და ლოჯისტიკური საქმიანობის გამართულ კოორდინაციას.

კომპანიის დამფუძნებელი შავლეგი ჩაგინავა, პირადად არის ჩართული კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობასა და ოპერაციული პროცესების მონიტორინგში, რაც ხელს უწყობს ეფექტიან მენეჯმენტს და შედეგებზე ორიენტირებულ მუშაობას. მმართველობითი გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს:

- **მარაგების ეფექტიან მართვას**, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქციის უწყვეტი მიწოდება და არ მომხდარიყო რესურსების დაკარგვა.
- **მომწოდებლებთან თანამშრომლობის გაძლიერებას**, რაც ხელს უწყობს პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და ხარისხის გაუმჯობესებას.
- **გაყიდვების ზრდაზე ორიენტირებული კომერციული ნაბიჯები**, მათ შორის ოპერატიული მომსახურება და კლიენტებთან მჭიდრო თანამშრომლობა.
- **უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას**, კომპანიისთვის პრიორიტეტულია თანამშრომლებისათვის ჯანმრთელი, უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

მენეჯმენტი მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ გუნდის 18-კაციანი კოლექტივი მუშაობდეს სტაბილურ, მხარდამჭერ და ორგანიზებულ გარემოში, რაც იძლევა სამუშაო პროცესების შეუფერხებლად და ხარისხიანად განხორციელებას.

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

• **საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება** – კომპანია გეგმავს გაყიდვების მოცულობის ეტაპობრივ ზრდას, არსებული კლიენტების შენარჩუნებასა და ახალი პარტნიორების მოზიდვას. პარალელურად, მენეჯმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დებიტორული დავალიანების კონტროლს, გადახდის პირობების ეფექტიან მართვას და ნაშთების შემცირებას, რაც დადებითად აისახება ფულადი ნაკადების სტაბილურობაზე და საერთო ფინანსურ პოზიციაზე.

• **საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება** – მიზნად არის დასახული მომსახურების ყველა ეტაპის ოპტიმიზაცია, რათა მომხმარებლებს მიეწოდოთ მუდმივად მაღალი ხარისხის, სწრაფი და სანდო მომსახურება. იგეგმება შიდა ოპერაციებისა და ლოჯისტიკის პროცესების გაუმჯობესება, საწყობი მარაგების უკეთესი დაგეგმვა, მიწოდების დროულობის უზრუნველყოფა და კლიენტებთან კომუნიკაციის გამკაცრება. ამ ცვლილებები ხელს შეუწყობს მომსახურების უწყვეტობას, შეკვეთების შესრულების სისწრაფესა და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას, რაც საწარმოს კონკურენტულ პოზიციებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში კომპანიას განვითარების სფეროში კვლევები არ განუხორციელებია.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მიუხედავად ქვეყანაში არსებული არასტაბილური ეკონომიკური გარემოსა, 2024 წლის საერთო ბრუნვა 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 15%-ით

ეფექტიანობის კოეფიციენტები:

წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება / საქონლოს რეალიზაცია) 2 პუნქტით შემცირდა: თუ 2023 წელს ის შეადგენდა 39%-ს, 2024 წელს ეს მაჩვენებელი 37%-ია.

კომპანიის აქტივების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 27%-ით, ხოლო საკუთარი კაპიტალი –26 %-ით.

მომგებიანობის კოეფიციენტები:

უკუგება აქტივებზე 2023 წელს იყო 30%, ხოლო 2024 წელს შემცირდა 26%-მდე, რაც მიუთითებს, რომ აქტივების მიერ შექმნილი მოგება შედარებით ნელა გაიზარდა აქტივების მოცულობის ზრდასთან შედარებით. ანალოგიურად, უკუგება კაპიტალზე 2023 წლის 31%-დან 2024 წელს 27%-მდე შემცირდა, რაც დაკავშირებულია საკუთარი კაპიტალის ზრდასა და მოგების შედარებით დაბალ ტემპთან. მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, ორივე მაჩვენებელი კვლავ მიუთითებს კომპანიის სტაბილურ და ეფექტიან ოპერირებაზე.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი:

მიმდინარე თანაფარდობის კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები) 2023 წელს შეადგენდა 2996%-ს, ხოლო 2024 წელს შემცირდა და შეადგინა 2752%. აღნიშნული ცვლილება მიუთითებს

მიმდინარე აქტივების ჭარბობაზე მიმდინარე ვალდებულებებთან შედარებით, თუმცა 2024 წელს დაფიქსირებულია უმნიშვნელო შემცირება კომპანიის ლიკვიდობის დონეში. მიუხედავად ამისა ლიკვიდობის დონე 2024 წელს კვლავაც მნიშვნელოვნად მაღალია და უზრუნველყოფს მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულების მაღალ შესაძლებლობას.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები:

2023 წელს მთლიანი ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა (Debt-to-Equity Ratio) შეადგენდა 3%-ს, ხოლო 2024 წელს გაიზარდა 4%-მდე, რაც წარმოადგენს 1 პროცენტული პუნქტით ზრდას. აღნიშნული ცვლილება ასახავს ვალდებულებების ზომიერი ზრდას საკუთარი კაპიტალის მიმართ, თუმცა მაჩვენებელი კვლავ რჩება დაბალ დონეზე.

ანალოგიურად, მთლიანი დავალიანების აქტივებთან თანაფარდობა (Debt-to-Assets Ratio) 2023 წელს იყო 3%, ხოლო 2024 წელს გაიზარდა 4%-მდე (ზრდა 1 პუნქტით). ეს მიუთითებს, რომ აქტივების სტრუქტურაში ვალდებულებების წილი მცირედით გაიზარდა, თუმცა საერთო მაჩვენებელი მაინც დაბალია.

სხვა ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა.
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა;

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის განვითარებაზე.

კომპანიის მიერ გასაყიდად შესყიდული მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. ასევე ნაწილი საოპერაციო ხარჯებისა, როგორც არის იჯარა, დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. ამასთანავე, კომპანია შემოსავლებს ლარში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

6. ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სისტემა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

საერთაშორისო სტანდარტების (IFRS/IFRS for SMEs) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი, სანდო და სრულყოფილი ფორმირების უზრუნველსაყოფად კომპანიაში მოქმედებს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ფინანსური ინფორმაციის სიზუსტის, მთლიანობისა და გამჭვირვალობის შენარჩუნებაზე. სისტემა მოიცავს როგორც კონტროლის პრინციპებს, ასევე იმ ეტაპებს, რომლებიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად შესადგენად.

შიდა კონტროლის ძირითადი პრინციპები (IFRS/IFRS for SMEs მოთხოვნებთან შესაბამისობა):

✓ არსებობა და წარმოშობა

აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა

✓ **უფლებები და ვალდებულებები**

კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვისას ასახულ პასივებზე, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

✓ **შეფასება და განაწილება**

ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

✓ **სიზუსტე**

ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

✓ **წარდგენა და გამჟღავნება**

ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში

ფინანსური ანგარიშგების შედგენის სისტემა მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპს, რომლებიც აუცილებელია ანგარიშგების სიზუსტის, სანდოობისა და სრულყოფილობისთვის:

➤ **ფინანსური ინფორმაციის შეგროვება და სიზუსტის უზრუნველყოფა**

ფინანსური მონაცემები მიიღება შესაბამისი დეპარტამენტებიდან და საწყობიდან. თითოეული მონაცემი მოწმდება პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. მიზანია ინფორმაციის სიზუსტის, სრული აღრიცხვისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

➤ **ოპერაციების განაწილება და კლასიფიკაცია საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისად**

მიღებული მონაცემები კლასიფიცირდება კომპანიის მოქმედი ბუღალტრული პოლიტიკის მიხედვით. ოპერაციები ასახულია შესაბამის ანგარიშებზე, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების სტრუქტურულ სისწორესა და გამჭვირვალობას.

➤ **შიდა ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება რეგულარულად და მოიცავს შემდეგ პროცედურებს:**

- შეთანხმებებისა და ბუღალტრული ჩანაწერების ურთიერთშერიგებას;
- მარაგების ნაშთების პერიოდულ შემოწმებასა და ინვენტარიზაციას;
- დებიტორულ და კრედიტორულ ნაშთების დეტალურ ანალიზსა და მათი ცვლილებების მონიტორინგს.

აღნიშნული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფს ნებისმიერი უზუსტობისა და შეუსაბამობის დროულ გამოყოფასა და შესაბამის კორექტირებების განხორციელებას, რაც ხელს უწყობს ფინანსური ინფორმაციის სანდოობასა და სისწორეს.

➤ **ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოიყენება შიდა კონტროლის მექანიზმები:**

ფინანსური ანგარიშგების შედგენის ეტაპზე მიმდინარეობს შიდა კონტროლის სხვადასხვა პროცედურების განხორციელება, რომელთა მიზანია მონაცემების სიზუსტის, შესაბამისობისა და ლოგიკურობის უზრუნველყოფა. გამოიყენება როგორც ფინანსური ინფორმაციის ჯვარედინი გადამოწმება, ასევე ბალანსის მუხლების შერიგება, ანალიტიკური და ლოგიკური ტესტები, საწყობი ნაშთების შემოწმება და სხვა კონტროლის საშუალებები, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფს ანგარიშგების სანდო და დაზუსტებულ ფორმირებას.

➤ ანგარიშგების საბოლოო შეფასება და დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგების პროექტი საბოლოო ეტაპზე გადის სრული განხილვისა და შეფასების პროცესს, რომლის მიზანია მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის, მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობისა და გამჟღავნების სრულყოფილების უზრუნველყოფა. საბოლოო დამტკიცების შემდეგ ანგარიშგება ითვლება დასრულებულად და მზადდება წარდგენისა და გარე მოხმარებისთვის.

7. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

კომპანია ახორციელებს საქმიანობას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით და ყურადღებას აქცევს იმგვარ ოპერაციულ პრაქტიკებს, რომლებიც მიმართულია გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციისკენ. საწარმოს საქმიანობა არ ითვლება მაღალემისიურ ან ეკოლოგიურად მძიმე ინდუსტრიად, თუმცა კომპანია მნიშვნელოვან მნიშვნელობას ანიჭებს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და გარემოს დაცვის ზოგადი მოთხოვნების შესრულებას.

გარემოს დაცვის მიმართულებით ძირითადი ნაბიჯებია:

- **დასაწყობებისა და შენახვის უსაფრთხო პრაქტიკები** – პროდუქცია ინახება შესაბამის პირობებში, რათა არ მოხდეს გარემოში მავნე ნივთიერებების ან მასალების მოხვედრა.
- **ნარჩენების მართვა** – სარეალიზაციოდან დარჩენილი შეფუთვის მასალა, ჭრილი ლითონი და სხვა ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებს ან განთავსდება ნორმების შესაბამისად.
- **ენერგოეფექტური პროცესები** – კომპანია ყურადღებას უთმობს ენერგიის მოხმარების კონტროლს, ოპტიმიზაციას და შენობების ეკონომიურ მუშაობას.
- **ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ოპტიმიზაცია** – საბითუმო ოპერაციებთან დაკავშირებული გადაზიდვები ორგანიზებულია ისე, რომ შემცირდეს ზედმეტი გადაადგილება და საწვავის არასაჭირო მოხმარება.
- **ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა** – კომპანიის საქმიანობა სრულად შეესაბამება მოქმედ გარემოსდაცვით ნორმებს და რეგულაციებს, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია მომავალშიც გააგრძელებს პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებას გარემოზე ზემოქმედების შემცირების, რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაღალი დონით ფუნქციონირების მიზნით.

8. სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლების კეთილდღეობას, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შრომითი უფლებების დაცვას. დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია სამართლიანობის, თანასწორობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებზე, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლების მოტივაციასა და პროდუქტიულობას.

კომპანიაში მოქმედებს შემდეგი პრინციპები და პრაქტიკები:


- **უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემო** – თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო, სტაბილური და ორგანიზებული სამუშაო პირობები, რომლებიც შეესაბამება შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს.
- **თანასწორობის მხარდაჭერა** – შრომითი ურთიერთობები რეგულირდება დისკრიმინაციის გარეშე და ეფუძნება თანასწორ შესაძლებლობებს, სამუშაოს შინაარსისა და კვალიფიკაციის პრინციპებს.
- **შესაბამისი შრომითი პირობები** – თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი პირობებით, მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებებით, ანაზღაურებით, დასვენების დროითა და სხვა სოციალური გარანტიებით.
- **თანამშრომლების სტაბილური დასაქმება** – კომპანიის საქმიანობაში ჩართულია 18-მდე თანამშრომელი, რომლებიც მუშაობენ სტაბილურ და წინასწარ განსაზღვრულ ფუნქციებზე, რაც ხელს უწყობს ოპერაციული პროცესების უწყვეტობას.
- **კომპანიის კულტურა და თანამშრომლობის გარემო** – ორგანიზაციაში ხელშეწყობილია გუნდური მუშაობა, პასუხისმგებლობის განცდა და პროფესიული ეთიკა, რაც ქმნის მხარდამჭერ და მეგობრულ სამუშაო გარემოს.
- **სოციალური პასუხისმგებლობის საერთო პრინციპები** – კომპანია იცავს კეთილსინდისიერ ბიზნეს პრაქტიკებს, შეესაბამება შრომით კანონმდებლობას და ზრუნავს როგორც თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, ისე საზოგადოებასთან პოზიტიურ ურთიერთობაზე.

კომპანია მომავალშიც მიმართავს ძალისხმევას სოციალური პასუხისმგებლობისა და დასაქმების სტანდარტების კიდევ უფრო გაძლიერებისკენ, რათა უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის ღირსეული სამუშაო პირობები და მდგრადი ორგანიზაციული განვითარება.

კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემატურად აკვირდება არსებულ რისკებს და ახორციელებს ყველა ღონისძიებას მათი გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა კომპანიამ შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა.


ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



შავლეგი ჩაგინავა

მთავარი ბუღალტერი



ელენა ენუქიძე

2025 წლის 21 ნოემბერი



- **უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემო** – თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო, სტაბილური და ორგანიზებული სამუშაო პირობები, რომლებიც შეესაბამება შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს.
- **თანასწორობის მხარდაჭერა** – შრომითი ურთიერთობები რეგულირდება დისკრიმინაციის გარეშე და ეფუძნება თანასწორ შესაძლებლობებს, სამუშაოს შინაარსისა და კვალიფიკაციის პრინციპებს.
- **შესაბამისი შრომითი პირობები** – თანამშრომლები უზრუნველყოფილი არიან კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი პირობებით, მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებებით, ანაზღაურებით, დასვენების დროითა და სხვა სოციალური გარანტიებით.
- **თანამშრომლების სტაბილური დასაქმება** – კომპანიის საქმიანობაში ჩართულია 18-მდე თანამშრომელი, რომლებიც მუშაობენ სტაბილურ და წინასწარ განსაზღვრულ ფუნქციებზე, რაც ხელს უწყობს ოპერაციული პროცესების უწყვეტობას.
- **კომპანიის კულტურა და თანამშრომლობის გარემო** – ორგანიზაციაში ხელშეწყობილია გუნდური მუშაობა, პასუხისმგებლობის განცდა და პროფესიული ეთიკა, რაც ქმნის მხარდამჭერ და მეგობრულ სამუშაო გარემოს.
- **სოციალური პასუხისმგებლობის საერთო პრინციპები** – კომპანია იცავს კეთილსინდისიერ ბიზნეს პრაქტიკებს, შეესაბამება შრომით კანონმდებლობას და ზრუნავს როგორც თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, ისე საზოგადოებასთან პოზიტიურ ურთიერთობაზე.

კომპანია მომავალშიც მიმართავს ძალისხმევას სოციალური პასუხისმგებლობისა და დასაქმების სტანდარტების კიდევ უფრო გაძლიერებისკენ, რათა უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის ღირსეული სამუშაო პირობები და მდგრადი ორგანიზაციული განვითარება.

კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემატურად აკვირდება არსებულ რისკებს და ახორციელებს ყველა ღონისძიებას მათი გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა კომპანიამ შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი _____

შავლეგი ჩაგინავა

მთავარი ბუღალტერი _____

ელენა ენუქიძე

2025 წლის 21 ნოემბერი